პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

 კვირა, 10 იანვარი, 1943 წ. № 8 (6633). ფასი 20 კაპ.

კიდევ უფრო გავაჩაღოთ სოცშეჯიბრება შემოვევი წითელი არმიის დასახმარებლად!

საბჭოთა საქართველოს მშრომელები დღეს კვლავ უდიდესი აღფრთოვანებით წაიკითხავენ დიდი **სტალინის** მისასალმებელ დეპეშას და ღრმა კმაყოფილების გრძნობით შეიტყობენ, რომ სატანკო კოლონა „ქართველი კოლმეურნის“ ასაგებად შეგროვებულია 110 მილიონი მანეთი!

ეს არის საქართველოს კოლმეურნეთა პირადი დანაზოგიდან შეგროვილი სახსრები, რომლებიც მათ ტამბოველ და სარატოველ კოლმეურნეთა მაგალითისამებრ შეიტანეს მრისხანე სატანკო კოლონების აგების ფონდში, რათა დაეხმარონ გმირ წითელ არმიას დაჩქარებით გაანადგუროს ჰიტლერელი ავაზაკები.

ამხანაგი **სტალინი** საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. **კ. ჩარკვიანისა** და საქ. სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. **ვ. ბაქრაძის** სახელზე გამოგზავნილ თავის მისასალმებელ დეპეშაში სწერს:

„გადაეცით ჩემი ძმური სალამი და წითელი არმიის მადლობა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კოლმეურნეებსა და კოლმეურნე ქალებს, რომლებმაც პირველად შემოტანილი 72.500 ათასი მანეთის გარდა დამატებით შეიტანეს 37.500 ათასი მანეთი სატანკო კოლონა „ქართველი კოლმეურნის“ ასაგებად და სახელმწიფო ვალდებულებათა შესრულების შემდეგ შეაგროვეს 248 ათასი ფუთი სასურსათო პროდუქტები მრეწველობის მუშებისა და ქალაქების მშრომელთათვის“.

ბელადის მისასალმებელი სიტყვები ახალ შრომითს აღფრთოვანებას და პატრიოტულ აღმავლობას გამოიწვევენ საბჭოთა საქართველოს მშრომელებში. ახალი ძალით აზვირთდება სრულიადსაკავშირო სოციალისტური შეჯიბრება წითელი არმიის XXV წლისთავის აღსანიშნავად. ამხანაგ სტალინის მისალმების სიტყვები კიდითკიდემდე მოედება ჩვენს ქვეყანას და პატრიოტთა გულში უფრო მძლავრად აღაგზნებს სურვილს — გააორკეცონ, გაასამკეცონ თავისი ძალები, რათა მეტი და მეტი გააკეთონ ვერაგ მტერზე ჩვენი გამარჯვების დიადი საქმისათვის.

ამ გამარჯვების მიღწევის მიზნით მოლოტოვის სახელობის № 172 ქარხნის მუშაკთა კოლექტივის ინიციატივას მხურვალედ ეხმაურებიან ჩვენი რესპუბლიკის საწარმოები, რომლებიც ახალი ძალით აჩაღებენ სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებას გმირი წითელი არმიის სახელოვანი XXV წლისთავის აღსანიშნავად და კისრულობენ ახალ საბრძოლო ვალდებულებებს. კოლმეურნეთა სახსრებით აგებული მრისხანე საბრძოლო **მანქანები** და ფრონტის დასახმარებლად გაჩაღებული საკავშირო შეჯიბრების შედეგები გამანადგურებელი ძალით ატყდება თავზე გერმანელ ფაშისტ ოკუპანტებს, რომლებსაც შემტევი წითელი არმია დასავლეთისაკენ ერეკება **სტალინგრადის** რაიონიდან, **დონის** ველებიდან, **ცენტრალური** ფრონტიდან, **ჩრდილოეთ კავკასიიდან.**

ფრონტის სახელოვან საქმეებს ზურგიც სახელოვანი საქმეებით უპასუხებს.

წითელი **არმიის** XXV წლისთავის აღსანიშნავად შეჯიბრების გაჩაღების პირველი დღეები დაემთხვა ისტორიულ თარიღს.

ოცდახუთი წლის წინათ, 1918 წლის 7-10 **იანვარს** დიდმა **ლენინმა** დასწერა ცნობილი სტატია **„როგორ მოვაწყოთ შეჯიბრება?“.** ამ სტატიაში ლენინი სწერდა განთავისუფლებული ხალხის ბედნიერ შრომაზე. ლენინი მიუთითებდა, რომ **„სოციალიზმი არა თუ აჭრობს შეჯიბრებას, არამედ, პირიქით, პირველად ჰქმნის შესაძლებლობას გამოყენებულ იქნას იგი ნამდვილად ფართოდ, ნამდვილად მასობრივი ოდენობით, გამოყვანილ იქნას მშრომელთა ნამდვილად უმრავლესობა ისეთი მუშაობის ასპარეზზე, სადაც მათ შეუძლიანთ გამოიჩინონ თავი, გაშალონ თავიანთი უნარი, ტალანტები, რომელნიც ხალხში ულეველია...“** ასე წინასწარმეტყველებდა დიდი ბელადი ამ ოცდახუთი წლის წინათ. ლენინის ეს ისტორიული წერილი 1929 წელს პირველად გამოქვეყნდა და ცნობილია, თუ რა სიზუსტით გამართლდა ლენინის სიტყვები სოციალისტური შეჯიბრების შესახებ. ეს იყო არა „მოდა“, როგორც ჩვენი მტრები ამტკიცებდნენ, არამედ, **„...კომუნისტური მეთოდი სოციალიზმის მშენებლობისა მშრომელთა მილიონიანი მასების მაქსიმალური აქტივობის საფუძველზე“,**—როგორც ამხანაგი სტალინი ამბობდა.

სოციალისტური შეჯიბრება მთელს ჩვენს ქვეყანაში უდიდესი ძალით გაიშალა. წარმოიშვა და განვითარდა მისი უმაღლესი ფორმა — სტახანოვური მოძრაობა. ომიანობის დროის სტახანოველებმა შრომითი გმირობის ახალი სასწაულები გვიჩვენეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

დაე კიდევ უფრო გაძლიერდეს და გაიშალოს საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება ფრონტის დასახმარებლად, ვერაგი მტრის გასანადგურებლად!

დიდი **სტალინის** მისალმების პასუხად ახალი ძალით გავაჩაღოთ ბრძოლა ახალი სამეურნეო გეგმების შესასრულებლად, გმირი წითელი არმიის, ფრონტის დასახმარებლად, გერმანელ ფაშისტ **ოკუპანტთა** სრული მოსპობისათვის!

ავაგოთ საგანგო კოლონა „ქართველი კოლმეურნე“

თანხების შეგროვება გრძელდება

ქარელი („კომუნისტის“ საკ. კორ.). ამხანაგ **სტალინის** მისალმების პასუხად გრძელდება სახსრების შეგროვება სატანკო კოლონა „ქართველი კოლმეურნის“ მშენებლობის ფონდში. აგარის მტკნის ტრაქტორისტმა ამხ. ტიტვინოიძემ ტანკების ასაგებად შეიტანა 20.000 მანეთი, სოფ. დვანის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ედილაშვილმა—10.000 მანეთი, სოფ. წერონისის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. აბეთიძემ—5.000 მანეთი. დამატებით შეიტანეს სახსრები პირველი უბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. სვიანაძემ—8.000 მანეთი, სოფელ თამარწინის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ხუციშვილმა—4.000 მანეთი, სოფ. ატოცის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ჩუტკერაშვილმა—3.000 მანეთი.

ვ. ინასარიძე.

დამატებით შეგანილია 600.000 მანეთი

ადიგენი (ტელეგრაფით). ადიგენის რაიონის კოლმეურნეებმა სატანკო კოლონა „ქართველი კოლმეურნის“ ასაგებად დამატებით შეიტანეს სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში 600.000 მანეთი, სულ კი 6 იანვრისათვის ტანკების მშენებლობისათვის შეტანილი იყო 1.237.000 მანეთი.

ამავე რიცხვისათვის წითელი არმიის ფონდში ჩაბარებული იყო 1.284 ფუთი კარტოფილი და 330 ფუთი სხვა პროდუქტები.

კადმ არმახ ოღლიმ გაიღო 25.000 მანეთი, ადმინ რიღვან ოღლიმ—15.000 მანეთი, შაქირ ოღლიმ—11.000 მანეთი, შახპანდარ იუსუფ-ოღლიმ—10.000 მანეთი, მიხა ტატიშვილმა—10.000 მანეთი.

სოფ. კ. პ. (ბ) ადიგენის რაიკომის მდივანი **ბ ელ ა შ ვ ი ლ ი**

წითელი არმიის XXV წლისთავის აღსანიშნავად

ჩვენი ვალდებულებანი

ჩვენმა ფაბრიკამ 1942 წელი მნიშვნელოვანი წარმატებებით დაამთავრა. სექტემბერში, ოქტომბერში, ნოემბერსა და დეკემბერში ჩვენ პირველი ადგილი დავიკავეთ საქართველოს სს რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის ხაზით, ხოლო მეორე ადგილი—ნოემბერში მსუბუქი მრეწველობის საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. დეკემბრის გეგმა 140,6 პროცენტით შეესრულეთ.

მოლოტოვის სახელობის № 172 ქარხნის კოლექტივის მოწოდების პასუხად სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით ჩვენმა ფაბრიკამ შეჯიბრებაში გამოიწვია უნაგირეზის ფაბრიკა და შემდეგი ვალდებულებები იკისრა: იანვრისა და თებერვლის გეგმა შესრულოს 103 პროცენტით, გასწიოს ნედლეულის ეკონომია 3 პროცენტით, გაზარდოს შრომის ნაყოფიერება 20 პროცენტით, შეამციროს პროდუქციის თვითღირებულება 3 პროცენტით და სხვ.

საამქროებსა და ცალკეულ მუშებს შორის სოციალისტური შეჯიბრების გაშლით, გმირი წითელი არმიის მორიგი გამარჯვებებით აღფრთოვანებული ჩვენი ფაბრიკის კოლექტივი ღირსეულად შეხვდება წითელი არმიის XXV წლისთავს.

ნ. ათაბაგოვა

თბილისის საგალანტერიო ფაბრიკა „კომსომოლის“ დირექტორი.

ჭიათურელი მაღაროელების შრომითი აღმავლობა

ჭიათურა („კომუნისტის“ საკ. კორ.). ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის მუშები თავდადებულად მუშაობენ, რათა ახალი გამარჯვებებით შეხვდნენ სახელოვანი წითელი არმიის XXV წლისთავს. ისინი კონკრეტული საქმეებით უპასუხებენ მოლოტოვის სახელობის № 172 საარტილერიო ქარხნის კოლექტივის მოწოდებას.

მარგანტრესტის თავარი მექანიკური სახელოსნოს კოლექტივი, რომელმაც დეკემბრის დაგალება 109 პროცენტით შეასრულა, წარმატებით მუშაობს იანვარშიც. ხარატები გრიგოლ ჩუბინიძე, შოთა ბუაძე, ივანე კაპანაძე, ზეინკალი თამარ ლაბაძე ყოველდღიურ გეგმებს 300-400 პროცენტით ასრულებენ. წარმატებით მუშაობენ ორგანიზაციის სახელობის მაღაროს სტახანოველი მნგრეველები ალექსანდრ და ალოიზ თამბაგრები. ისინი გეგმის გადამეტებით აძლევენ სამშობლოს შრავალ ტონა მარგანეცს.

ჭიათურელი მაღაროელები პირობას იძლევიან ახალი წარმატებებით შეხვდნენ სახელოვანი წითელი არმიის XXV წლისთავს, უფლაფერი გააკეთონ ფრონტის დასახმარებლად.

პ. ჭიოკაძე

საბჭოთა მოიერიშეების თავდასხმა რკინიგზის სადგურზე

მოქმედი არმია, 9 იანვარი. (საკადესის სპეც. კორესპონდენტისაგან). მზვერავებმა ცნობა მოიტანეს, ფრონტისპირა სადგურში დგროდა რამდენიმე შემადგენლობა გერმანელთა ტვენიკიანად და სამამრ მასალიანადო.

ჰაერში აფრინდნენ მოიერიშენი, რომელთაც შავზღველი მფრინავები პილოტობდნენ. სამიზნოს თავზე მათ მტრის სიზენიტო არტილერიის ძლიერი ცეცხლი შეხვდა. მაგრამ მოიერიშეებმა გააღწიეს ცეცხლის ფარდა, თავს დაატყდნენ რკინიგზის შემადგენლობებს და **დასწვეს 76 ვაგონი ხიმამრ მასალიანად.**

როცა მოიერიშეთა ერთი ჯგუფი რკინიგზის შემადგენლობებს ბომბავდა, სხვა ჯგუფმა ამ დროს მოსპო გერმანელთა 4 ავტომატური ზარბაზანი, ჩაანგრია **სიზენიტო** ბატარეის ცეცხლი და დახოცა მოწინააღმდეგის **დიდძალი ჯარისკაცი** და ოფიცერი.

მოსკოვი, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი—ამხანაგ სტალინს

უდიდესი სიხარულით შეხვდნენ საქართველოს მშრომელნი, ამხანაგო სტალინ, თქვენს მისასალმებელ დეპეშას, რითაც თქვენ წითელი არმიის მადლობა გამოუცხადეთ საქართველოს სსრ კოლმეურნეებსა და კოლმეურნე ქალებს, რომლებმაც 72.500.000 მანეთი შეაგროვეს სატანკო კოლონა „ქართველი კოლმეურნის“ ასაგებად. თქვენმა მისასალმების სიტყვებმა ახალი პატრიოტული აღფრთოვანება გამოიწვია საქართველოს კოლმეურნე გლეხობაში, რომელიც მზად არის ყველაფერი გაიღოს ჩვენი სამშობლოს დაუძინებელი მტრის გასანადგურებლად. კოლმეურნეობებში ყველგან გაძლიერდა სახსრების შემოსვლა ტანკების მშენებლობისათვის. 7 იანვრისათვის დამატებით შეგროვებულმა სახსრებმა 37.500.000 მანეთი შეადგინა. ამრიგად, საქართველოს სსრ კოლმეურნეებმა და კოლმეურნე ქალებმა სატანკო კოლონა „ქართველი კოლმეურნის“ ასაგებად თავისი პირადი დანაზოგიდან სულ 110 მილიონი მანეთი შეიტანეს.

სახსრების შეგროვებამ განსაკუთრებით წარმატებით ჩაიარა და ყველაზე მეტი თანხები შემოვიდა შემდეგ რაიონებში: ზუგდიდის (რაიკომის მდივანი ამხ. ჩაჩიბაია)—5.020.000 მანეთი, გურჯაანის (რაიკომის მდივანი ამხ. ფეიქრიშვილი)—4.500.000 მანეთი, მახარაძის (რაიკომის მდივანი ამხ. სიხარულიძე)—4.145.000 მანეთი, წითელწყაროს (რაიკომის მდივანი ამხ. გელაშვილი) — 4.000.000 მანეთი, გორის (რაიკომის მდივანი ამხ. მიხანაშვილი)—3.736.000 მანეთი, წალკის (რაიკომის მდივანი ამხ. ხრისტიანოვი)—3.288.000 მანეთი, ახალციხის (რაიკომის მდივანი ამხ. კირვალიძე)—3.160.000 მანეთი, ბორჩალოს (რაიკომის მდივანი ამხ. სირუნიანი) — 3.020.000 მანეთი, ახალქალაქის (რაიკომის მდივანი ამხ. ვართაზაროვი)—3.010.000 მანეთი. კარგად ჩაატარეს სახსრების შეგროვება აგრეთვე აფხაზეთის ასსრ (საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ბარამია) კოლმეურნეებმა და კოლმეურნე ქალებმა, რომლებმაც ტანკების მშენებლობისათვის შეიტანეს 8.100.000 მანეთი, და სამხრეთ-ოსეთის (საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ცხოვრებაშვილი) კოლმეურნეებმა და კოლმეურნე ქალებმა, რომლებმაც შეაგროვეს 5.600.000 მანეთი.

სატანკო კოლონისათვის სახსრების შეგროვებასთან ერთად კოლმეურნეებმა და კოლმეურნე ქალებმა გააჩაღეს სახელმწიფო ფასებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარება წითელი არმიისათვის და ქალაქების მრეწველობის მუშებისა და ინტელიგენციისათვის. 7 იანვრისათვის კოლმეურნეთა მეურნეობებმა, რომლებსაც შესრულებული აქვთ ყველა ვალდებულებანი სახელმწიფოს წინაშე დამზადებათა დარგში, თავიანთი გარდამეტიდან ჩააბარეს, გეგმის ზევით, 248 ათასი ფუთი სასურსათო პროდუქტები, მათ შორის 168 ათასი ფუთი მარცვლეული, 17 ათასი ფუთი ხორცი, 1.900 ფუთი ერბოკარაქი და ყველი, 45 ათასი ფუთი ბოსტნეული და კარტოფილი. პროდუქტების შეგროვება გრძელდება.

საქართველოს ქ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი

ქ. ჩარკვიანი

საქართველოს ქ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხანაგ ჩარკვიანს

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ბაქრაძეს

გადაეცით ჩემი ძმური სალამი და წითელი არმიის მადლობა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კოლმეურნეებსა და კოლმეურნე ქალებს, რომლებმაც 72.500 ათასი მანეთის გარდა დამატებით შეიტანეს 37.500 ათასი მანეთი სატანკო კოლონა „ქართველი კოლმეურნის“ ასაგებად.

ი. სტალინი

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ სტალინს

ჩვენო საყვარელო ბელადო იოსებ ბესარიონის-ძე!

სატანკო კოლონა „ქართველი კოლმეურნის“ ასაგებად სახელმწიფო ბანკში შევიტანე მთელი ჩემი ოჯახის შრომითი დანაზოგი—500.000 მანეთი. სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!

გურგენ ვარტეგმოსის-ძე ოგანიანი,

საქართველოს სსრ წალკის რაიონის სოფელ კუშჩის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძე!

ჩვენი კოლმეურნეობის წევრებმა თავიანთი შრომითი დანაზოგიდან შეაგროვეს და სახელმწიფო ბანკში შეიტანეს 60 ათასი მანეთი სატანკო კოლონა „ქართველი კოლმეურნის“ მშენებლობისათვის. პირადად მე შევიტანე 123 ათასი მანეთი. დაუღალავად ვიშრომებთ და დავეხმარებით წითელ არმიას.

ილია დავითის-ძე ჭინჭარაული

საქართველოს სსრ თიანეთის რაიონის სოფელ გუდანელების მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ბრძანებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ ხელოვნების მუშაკებისათვის საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

ხელოვნების დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის:

I. **მიენიჭოს საქართველოს სსრ სახალხო არტისტის წოდება:**

1. ვერა ივლიანეს-ასულ **ანჯაფარიძეს,** თბილისის მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატიული თეატრის მსახიობს.
2. ვახტანგ მიხეილის-ძე **ჭაბუკიანს,** თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის მსახიობს.
3. თამარ ილიას-ასულ **ჭავჭავაძეს,** თბილისის რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო დრამატიული თეატრის მსახიობს.

II. **მიენიჭოს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება:**

1. ალექსანდრე ავქსის-ძე **აბარიანს,** თბილისის სომხური სახელმწიფო დრამატიული თეატრის რეჟისორ-დამდგმელს.
2. შალვა სოლომონის-ძე **ასლანიშვილს,** მუსიკის მცოდნეს, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტს.
3. დავით ბორისის-ძე **გროსმანს,** თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორს.
4. უჩა მალაქიას-ძე **ჯაფარიძეს,** მხატვარს, საქართველოს სსრ სამხატვრო აკადემიის ინტერიერს.
5. ვალერიან ხარდონის-ძე **ქაშაკაშვილს,** მსახიობს, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტს.
6. მიხეილ გიორგის-ძე **კვალიაშვილს,** თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის რეჟისორ-დამდგმელს.
7. ივანე ნიკოლოზის-ძე **პერეხტიანს,** კინორეჟისორს.
8. იოსებ ადოლფის-ძე **შარლემანს,** მხატვარს, საქართველოს სსრ სამხატვრო აკადემიის პროფესორს.

III. **მიენიჭოს საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის წოდება:**

1. დავით გიორგის-ძე **ბადრიძეს,** თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის მსახიობს.
2. ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე **ბელაკენელს,** თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის მსახიობს.
3. ალექსანდრე გიორგის-ძე **გომელაურს,** თბილისის მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატიული თეატრის მსახიობს.
4. ვერა ალექსანდრეს-ასულ **დავიდოვას,** თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის მსახიობს.
5. სტეფანე მელიტონის-ძე **ჯაფარიძეს,** თბილისის რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო დრამატიული თეატრის მსახიობს.
6. კონსტანტინე ანდრიას-ძე **დობჟინსკის,** თბილისის გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატიული თეატრის მსახიობს.
7. სერგი ალექსანდრეს-ძე **ზაქარიაძეს,** თბილისის მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატიული თეატრის მსახიობს.
8. აკაკი ლუკას-ძე **კვანტალიანს,** თბილისის მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატიული თეატრის მსახიობს.
9. იური სტეფანეს-ძე **კიპორენკო-დომანსკის,** თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის მსახიობს.
10. აბას ალი-ოღლი **ყურბანოვს,** თბილისის აზერბაიჯანული სახელმწიფო თეატრის მსახიობს.
11. ნინო იოსების-ასულ **ლაფაჩის,** თბილისის რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო დრამატიული თეატრის მსახიობს.
12. არტემ ჰაიკის-ძე **ლუსინიანს,** თბილისის სომხური სახელმწიფო დრამატიული თეატრის მსახიობს.
13. დიმიტრი სიმონის-ძე **მჭედლიძეს,** თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის მსახიობს.
14. მიხეილ მარკოზის-ძე **ნეიმანს,** თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის ორკესტრის მსახიობს.
15. გიორგი ილარიონის-ძე **სალარაძეს,** თბილისის რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო დრამატიული თეატრის მსახიობს.
16. ილია ილიას-ძე **სუხიშვილს,** თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის ბალეტის მსახიობს.
17. ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე **ხორავშვილს,** თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის ორკესტრის მსახიობს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. სტურუა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

1943 წ. 9 იანვარი. ქ. თბილისი.

„ურყევი სული და გამარჯვების ნებისყოფა საბჭოთა ჯარების საბრძოლო ნარმაგებათა წყაროა“

ინგლისური პრესა წითელი არმიის შეტევის შესახებ

ლონდონი, 9 იანვარი (საკადესი). ცნობები საბჭოთა ჯარების შეტევის შესახებ კვლავ დგას ინგლისური პრესის ყურადღების ცენტრში. ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო იუწყება, რომ რუსების ფართო საზამთრო შეტევას საბჭოთა ჯარების გასული ზამთრის შეტევითი ოპერაციების მიღწევათა თვალსაზრისით განიხილავენ ლონდონში. ახლანდელი შეტევა თითქმის ერთი თვით ადრე დაიწყო, ვიდრე წარსულელი შეტევა, და უკვე ახლა გაცილებით მეტი ძალა მოიპოვა. წითელი არმიის მიერ ისეთი ქალაქების განთავისუფლება, როგორიც არის ველიკიე ლუკი, კოტელნიკოვო, ციმლიანსკაია, მოზდოკი და ნალჩიკი, მოწმობს, რომ წითელმა არმიამ უკვე დაიკავა მოწინააღმდეგის დიდმნიშვნელოვანი თავდაცვითი პოზიციები.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე შექმნილი მდგომარეობისადმი მიძღვნილ დიდ მოწინავე სტატიაში გაზეთი „ტაიმსი“ სწერს: სწორი არ იქნებოდა საბჭოთა ჯარების შეტევითი წარმატებანი იმით აგვეხსნა, რომ რუსები უკეთ იტანენ ზამთრის სიძნელეებს ან რომ ისინი უკეთ იცნობენ ადგილმდებარეობასო. ურყევი სული და გამარჯვების ნებისყოფა—აი საბჭოთა ჯარების საბრძოლო წარმატებათა წყაროო. ამ მხრივ რუსებმა უკვე დაამტკიცეს თავიანთი უპირატესობა თავის მოწინააღმდეგესთან შედარებით. რუსი ხალხი გამსჭვალულია მაღალი პატრიოტული სულისკვეთებით და სამართლიანი სიძულვილით მტრისადმი. რუსი ხალხის სულიერი აღმფრენა მით უფრო იზრდება, რაც უფრო მტკიცდება დამპყრობლებისაგან საბჭოთა ნიწა-წყლის განთავისუფლების იმედი.

გაზეთი „დეილი მეილი“ აღნიშნავს, რომ გერმანელები მთელ რიგ ზომებს იღებენ, რათა თავიდან აიცილონ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე შექმნილი მდგომარეობის შესახებ მართალი ცნობების გავრცელება გერმანიაში.

საბჭოთა ჯარების შეტევას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ინგლისელი რადიოკომენტატორების გამოსვლებში. რობერტ ფრეზერი აღნიშნავს საბჭოთა ჯარების შეტევის ტემპების სისწრაფეს. საბჭოთა ჯარების სახელოვანი შეტევა,—აცხადებს ფრეზერი,—დიდ იმედს წარმოშობს.

ქრიპსი ინგლისის ავიაციის მოქმედების შესახებ

ლონდონი, 9 იანვარი (საკადესი). რეიტერის საგენტოს ცნობით, საავიაციო მრეწველობის მინისტრმა სტაფორდ ქრიპსმა ერთ საავიაციო ქარხანაში წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა, რომ გერმანია და იტალია მალე უფრო ინტენსიურ საჰაერო დაბომბვას განიცდიან. ქრიპსმა აღნიშნა, რომ ორი უკანასკნელი თვის განმავლობაში დაბომბვა იმდენად ინტენსიური არ იყო, რამდენადაც ეს სასურველია. მისი სიტყვით, ამის მიზეზი ცუდი ამინდი იყო. „მაგრამ,—განაცხადა მან,—თავდება არახელსაყრელი ამინდისა და ნისლის სეზონი, და ჩვენ კვლავ დავაყრით გერმანიასა და იტალიას დიდძალ ბომბს“.

ნერინგი გადაუყენეს ღერძის სახელმწიფოთა ჯარების სარდლის პოსტიდან ტუნისში

ლონდონი, 9 იანვარი (საკადესი). როგორც რეიტერის საგენტო გადმოგვცემს, ბერლინში ოფიციალურად არის გამოცხადებული, რომ გენერალი ნერინგი გადაყენებულია ღერძის სახელმწიფოთა ჯარების სარდლის პოსტიდან ტუნისში. მის მაგიერ დანიშნულია გენერალი არნიმი.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ამხანაგ ი. სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძე!

საბჭოთა კავშირის კომკავშირელები და ახალგაზრდობა, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავთან დაკავშირებით თქვენ მიერ გაკეთებული მოხსენებითა და გაცემული ბრძანებით, გერმანელ ფაშისტთა ბანდების წინააღმდეგ საბჭოთა ჯარების წარმატებითი შეტევით აღფრთოვანებულნი, აქტიურად მონაწილეობენ ჩვენი გმირი წითელი არმიის საჭურვლის მშენებლობისათვის სახსრების შეგროვებაში.

36 ოლქში წითელი არმიის საჭურვლის მშენებლობისათვის კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ 181.657.428 მანეთი შეიტანეს.

სახსრების შეგროვებაში აქტიურად მონაწილეობენ პიონერები და მოწაფენი. რიაზანის ოლქის მურავლიანკის რაიონის სამი სკოლის მოსწავლეებმა ტანკების მშენებლობისათვის შეიტანეს 300.000 მანეთი, სპასკის რაიონის კუტუკოვსკის სკოლის პიონერთა რაზმმა შეიტანა 25.000 მანეთი და 125 ფუთი მარცვლეული, რაც მათ მიერ გამომუშავებული იყო კოლმეურნეობებში. მოსკოვის ოლქის სუხარევკის სკოლის მოსწავლეებმა კოლმეურნეობაში გამომუშავებული თავიანთი სახსრებიდან სატანკო კოლონა „პიონერის“ ასაგებად შეიტანეს 15.000 მანეთი. ქ. მოსკოვის ლენინის რაიონის № 639 სკოლის მოსწავლეებმა — 9.385 მანეთი. კრასნოიარსკის მხარის სოვეტსკის რაიონის ბერეზოვკის საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოწაფემ, პიონერმა გალია გორეტოვამ სახელმწიფო ბანკში შეიტანა 8.000 მანეთი სატანკო კოლონა „პიონერის“ მშენებლობისათვის. სულ კრასნოიარსკის მხარეში პიონერებმა და მოწაფეებმა 100.000 მანეთზე მეტი შეაგროვეს.

კუბიშევის ოლქის სურასკოეს საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოწაფემ, პიონერმა ტანია ჩეკულაევამ სახელმწიფო ბანკში შეიტანა 9.000 მანეთი. ტანია 13 წლისაა, მას აწევს მთელი საოჯახო მეურნეობა. ტანიას სამი ბიძა ფრონტზეა, ორი მათგანი ორდენოსანია.

„მე მსურს, — სწერს ტანია, — რათა ჩემ მიერ გამომუშავებულმა თითოეულმა კაპიკმა, საბრძოლო მანქანების მშენებლობისთვის შეტანილმა, ხელი შეუწყოს ჩვენს მშობლიურ წითელ არმიას — უფრო სწრაფად გაანადგუროს ჰიტლერელი არამზადები და სასტიკად მიუზღოს მათ უდანაშაულო ბავშვთა ცრემლებისა და სისხლისათვის“.

გარდა ფულადი სახსრებისა, სოფლის კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ დაიწყეს პროდუქტების შეგროვება წითელი არმიის ფონდისათვის. ომსკის ოლქში, თქვენ მიერ, ამხანაგო სტალინ, ამ ოლქის კომკავშირელებისა და ახალგაზრდებისათვის გაკეთებული ბასუხის შემდეგ, შეგროვებულია 15.000 ფუთი პური. რიაზანის ოლქის კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ შეაგროვეს 7.200 ფუთი პური.

კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ დაიწყეს საჩუქრების შეგროვება სახალხო მურისმგებლებისათვის — საბჭოთა პარტიზანებისათვის. პარტიზანულ რაზმებს გაეგზავნათ: ზედა ტანისამოსი — 9.500 ცალი, თეთრეული — 9.250 წყვილი, ფეხსაცმელი — 2.050 წყვილი, ფართლეული — 8.477 მეტრი, პატარა აფთიაქი — 1.500, თამბაქო — 7.000 შეკვრა, საპონი — 5.500 ნაჭერი, რადიომიმღები — 102, რაციი — 25.

გარდა ამისა, პარტიზანებს გაეგზავნათ 102.905 სხვადასხვა საჩუქარი, მათ შორის: ლოგინის თეთრეული, სანივთე ჩანთები, ცივი იარაღი, კარდლები და მათარები, ქუდები, ძაფები, კვების პროდუქტები და სხვა.

ახალი წლისთვის კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ პარტიზანებს გაუგზავნეს სხვადასხვა საახალწლო საჩუქარი: 6.500 ცალი ზედა ტანისამოსი, 450 წყვილი ფეხსაცმელი, სხვადასხვა პროდუქტი—ორცხობილა, ერბო-კარაქი, ბოლში გამოყვანილი და საკონდიტრო ნაწარმი, კონსერვები, 150 ფუთი თაფლი, 3.000 შეკვრა თამბაქო. გაგზავნილია 22.500 სხვადასხვა საგანი. მათ შორის: ცხვირსახოცები, თბილი ნივთები, ძაფები, სამამრთებლები, პორტსიგარები და სხვ.

განსაკუთრებით სახელმოხვეჭილ პარტიზანებს კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ გაუგზავნეს ძვირფასი სახელობითი საჩუქრები — 104 ოქროს და ვერცხლის საათი, 68 პორტსიგარი, 400 ფინური დანა.

წითელი არმიის ფონდისათვის სახსრებისა და პროდუქტების შეგროვება გრძელდება და ყველგან მიმდინარეობს როგორც დიდი პატრიოტული საქმე.

საბჭოთა კავშირის კომკავშირელები და ახალგაზრდობა მზად არიან ყველაფერი გააკეთონ საბჭოთა ხალხის წინაშე თქვენ მიერ დასახული მიზნის შესასრულებლად — გავათავისუფლოთ საბჭოთა მიწა-წყალი გერმანელ ფაშისტ არამზადებისაგან, დავიცვათ ჩვენი სამშობლოს ღირსება და დამოუკიდებლობა.

**საკ

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

9 იანვრის ღილის ცნობა

8 იანვრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები **დონის** ქვემოწელის რაიონში, **ცენტრალურ** ფრონტზე და **ჩრდილოეთ კავკასიაში** განაგრძობდნენ ბრძოლებს წინანდელი მიმართულებებით.

* * *

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით ერთ უბანზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა იერიში მიიტანეს მტერზე და 40 სანგარი დაიკავეს. ჰიტლერელები შეეცადნენ აღედგინათ მდგომარეობა, რისთვისაც კონტრიერიშზე გამოუშვეს ერთ პოლკამდე ქვეითი ჯარი და 20 ტანკი. ჩვენმა მებრძოლებმა შეინარჩუნეს დაკავებული პოზიციები და გაფფრთხილებულ ბრძოლაში გერმანელებს დიდი ზარალი მიაყენეს, მოსპობილია 500-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დამწვარი და დაზიანებულია 5 ტანკი, წამოღებულია 20 ტყვიამფრქვევი და 20.000-ზე მეტი ვაზნა. წამოყვანილია ტყვეები.

* * *

დონის ქვემოწელის რაიონში ჩვენი ჯარები სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობას და გაგაგრძობდნენ შეტევას. ერთ უბანზე გერმანელთა ორი პოლკი ქვეითი ჯარი სასოწარკვეთით შეეცადა შეეჩერებინა საბჭოთა ნაწილების შეტევა. მრავალი საათის ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ნაწილებმა სულ მცირე 400 გერმანელი გასწყვიტეს, ორი დასახლებული პუნქტი დაიკავეს და ბევრი დავლა წამოიღეს. სხვა უბანზე საბჭოთა ჯარებმა დაიკავეს დასახლებული პუნქტი და ხელთ იგდეს 11 ქვემეხი, მათ შორის 3 თვითმავალი ქვემეხი, 2 ექვსლულიანი ნაღმსატყორცანი, 24 ტყვიამფრქვევი და საწყობი კავშირგაბმულობის ქონებიანად. წამოყვანილია ტყვეები.

* * *

ცენტრალურ ფრონტზე ჩვენი ჯარები ამაჯრებდნენ დაკავებულ ზღუდეებს. ველიკიე ლუკის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე რაიონში გერმანელებს ძლიერი კონტრიერიშებები მოუჭერდათ ჩვენი ჯარების პოზიციებზე. ჰიტლერელების ცდა — გაერღვიათ ჩვენი თავდაცვა უშედეგოდ დამთავრდა. ბრძოლის შედეგად გაწყვეტილია 200-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. თოფისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლით ჩვენმა მებრძოლებმა გერმანელთა 5 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

* * *

ჩრდილოეთ კავკასიაში ჩვენი ნაწილები წარმატებითს შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ. საბჭოთა ჯარების დარტყმებით უკანდახეულ მტერს, მძიმე ზარალი მოსდის. მარტო ერთი დასახლებული პუნქტის მიდამოებში ჩვენმა მებრძოლებმა ხელთ იგდეს მტრის 2 ტანკი, 3 ჯავშნიანი მანქანა, 6 ქვემეხი და 14 ავტომანქანა. ბრძოლის ველზე დათვლილია მტრის 380 გვამი. სხვა უბანზე განადგურებულია გერმანელთა ერთი ბატალიონი ქვეითი ჯარი და წამოღებულია დიდი აღალი სურსათიანად, რომელიც ჰიტლერელებს შშვიდობიანი მცხოვრებლებისათვის წაუართმევიათ.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე ჩვენმა სნაიპერებმა სამი დღის განმავლობაში, მტრის 400-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი გასწყვიტეს. ლენინგრადის მისადგომებზე საბჭოთა მეზენიტეებმა 2 ავიაგამანადგურებელი ჩამოაგდეს.

* * *

კალინინელ პარტიზანთა რაზმმა უკანასკნელ დროს 157 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი დახოცა და მტერს წაართვა 4 სასურსათო საწყობი. საბჭოთა პატრიოტების პატარა ჯგუფმა ააფეთქა რკინიგზის ხიდი და საფრიდან მოსპო მტრის 3 სატვირთო ავტომანქანა.

* * *

როგორც ცნობილია, ჰიტლერელებს უკვე დიდი ხანია ელანდებათ კავკასიის ნავთის კოშკურები. გერმანელთა სარდლობას განზრახვა ჰქონდა ხელში ჩაეგდო ბაქო არა უგვიანეს 1942 წლის 25 სექტემბრისა. გერმანელი ოფიცრები ფართო რეკლამას უკეთებდნენ ჯარისკაცთა შორის კავკასიის დაპყრობის გეგმებს. გაბრიყვებული გერმანელი ჯარისკაცები ზაფხულზე გერმანიაში თავიანთ ნათესავებს სწერდნენ წერილებს, რომლებშიც წამოაყრანტალებდნენ ხოლმე ყოველივე იმას, რასაც მათ ოფიცრები ეუბნებოდნენ. გაუგზავნეს წერილში, რომელიც მოკლულ ეფრეიტორს გეორგ დუკას უპოვნეს, ნათქვამია: „ახლა მე მაისკოფში ვიმყოფები. ჩვენი მიზანია ბაქო". გერმანელი ჯარისკაცი გეორგი 25 აგვისტოს მშობლებს სწერდა: „ჩვენ წინ მივეჭანებით... შემდეგს წერილს ბაქოდან მოგწერთ". პირველივე მარცხის შემდეგ ჰიტლერელებმა ქედაღლობას უკლეს და აწუწუნდნენ. რამდენი ხანიც გადიოდა, იმდენადვე სულ უფრო უსიხარულო ამბებს სწერდნენ თავიანთ ნათესავებს გერმანელი ჯარისკაცები. გერმანელი ეფრეიტორი ფოკტი 19 სექტემბრის წერილში სჩიოდა: „რუსები მაგრად სხედან მთის კალთებზე. მძიმე ბრძოლებია. ჩვენ კიდევ არ ვიცით, თუ რად დაგვიჯდება ეს". 6 ოქტომბერს გერმანელი ეფრეიტორი კენდლერი ეფრეიტორ ოსიფ ეკბაუერს სწერდა: „ჩვენთანაც აქ ახლა ძალიან ცუდად არის საქმე. ჩვენ არ შეგვიძლია წინ წავიწიოთ. მეტისმეტად დიდია რუსთა ძალები... მთებში ომი ყველაზე ძნელი ომია. ჩვენ ყველას ნერვები მთლად მოგვეშალა". გერმანელი უნტერ-ოფიცერი გოტლიბ კოლბი უკვე აღარ ახსენებს არც ვროზნის და არც ბაქოს. მის თვალწინ კრთიან არა ნავთის კოშკურები, არამედ გერმანელთა სოფლავების ჯვრები. კოლბი 7 ნოემბერს სწერდა: „... კავკასიაში ძალიან ბევრი გერმანელი ჯარისკაცის საფლავია. ბევრ სოფელში მე ვნახე არა მარტო საფლავები, არამედ მთელი სასაფლაოებიც. ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ყველაზე უფრო ცუდი ამბებისათვის".

ასე სწერდნენ ჰიტლერელები ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა ჯარების შეტევაზედ. შეიძლება ეჭვი არ შეგვიფიდეს, რომ ახლა, წითელი არმიის დარტყმის გამო უკან დახევისას, გერმანელები ცოტა რამეს მაინც ისწავლიან.

* * *

ფრანგმა თავისუფალმა მსროლელებმა ლონინის (საფრანგეთი) გარეუბანში დასწვეს გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთა ბენზინისაცავი. პარიზის ერთ-ერთ სარკინიგზო დეპოში ორი ოკანასკნელი კვირის განმავლობაში მწყობრიდან გამოყვანილია 16 ორთქლმავალი. ორლეანის რაიონში თავისუფალმა მსროლელებმა ლიანდაგიდან გადააგდეს გერმანელთა სარკინიგზო ეშელონი ჯარისკაცებიანად.

9 იანვრის საღამოს ცნობა

9 იანვარს ჩვენი ჯარები **დონის** ქვემოწელის რაიონში განაგრძობდნენ შეტევას და დაიკავეს დასახლებული პუნქტები — **კოვილკინი, სენნოი, კრილოვი, ნოვო-როსოშანსკი, ტროფიმოვი, გორელოვსკი, კრიუკოვსკი, ერმილოვი, საველიევი, ბოგოიავლენსკაია, უსტ-კაგალნიცკი, კასტარჩინი.**

ზიმოვნიკის რაიონში ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს დასახლებული პუნქტები — **ტორგოვი, კოვალევსკი, კრასნი ოკტიაბრი, გრუშევკა, ვესიოლი, ოსტროვიანსკი.**

ჩრდილოეთ კავკასიაში ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი **სოლდატსკო-ალექსანდროვსკოე,** რაიონული ცენტრი **ზოლსკოე,** დასახლებული პუნქტები — **კოლტუნოვსკაია, მოროზოვსკაია** და რკინიგზის სადგური **ეტოკა.**

ცენტრალურ ფრონტზე ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს წინანდელი მიმართულებებით.

* * *

8 იანვარს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დაზიანეს გერმანელთა 5 ტანკი, 50-ზე მეტი ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, ჩაახშეს 6 საარტილერიო ბატარიის ცეცხლი, ააფეთქეს 2 საწყობი საომარი მასალა, ჩასძირეს 4.000 ტონა წყალწყვის ტრანსპორტი, გაჩფანტეს და ნაწილობრივ მოსპეს მოწინააღმდეგის ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

* * *

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარის მნიშვნელოვანმა ჯგუფმა ტანკების დახმარებით იერიში მოიტანა 5 ნაწილის პოზიციებზე. ჩვენმა მებრძოლებმა მოიგერიეს ჰიტლერელთა იერიში, დაედევნენ მათ და ხელთ იგდეს 51 ს.ნგარი. მოსპობილია მტრის 280 ჯარისკაცი და ოფიცერი, დაზიანებულია 3 ტანკი, წამოღებულია 1 თვითმავალი ქვემეხი, 35 ტყვიამფრქვევი, 100-ზე მეტი შაშხანა და დიდძალი ვაზნა. ქვეითი ჯარის იარაღის ცეცხლით ჩამოგდებულია გერმანელთა 2 სატრანსპორტო თვითმფრინავი.

* * *

დონის ქვემოწელის რაიონში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას და დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები. ერთ რაიონში გერმანელებმა კონტრიერიშზე გამოიყვანეს 100-ზე მეტი ტანკი და ქვეითი ჯარის დიდი ძალები. გაჩაღდა გააფთრებული ბრძოლა, რომელიც მოწინააღმდეგის დამარცხებით დამთავრდა. ჰიტლერელებმა ბრძოლის ველზე დაჰყარეს ათობით დასახიჩრებული ტანკი, მიატოვეს მრავალი მოკლული და დაჭრილი თავისი ჯარისკაცი და ოფიცერი და უკან დაიხიეს. ჩვენი ნაწილები დაედევნენ მოწინააღმდეგეს და დაიკავეს ორი დიდი დასახლებული პუნქტი. სხვა უბანზე ჩვენი ქვეგანაყოფები წინ მიიწევდნენ და გერმანელებს წაართვეს 3 თვითმავალი ქვემეხი, 6 ტანკი, 10 ტყვიამფრქვევი, 1 რადიოსადგური და 17 ავტომანქანა საომარ მასალიანად.

* * *

ცენტრალურ ფრონტზე ჩვენი ჯარები ძალების ნაწილით იგერიებდნენ მოწინააღმდეგის კონტრიერიშებს. ველიკიე ლუკის სამხრეთ-დასავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით გერმანელებმა რამდენიმე კონტრიერიშები მოიტანეს და ცდილობდნენ განედევნათ ჩვენი ქვეგანაყოფები დაკავებული პოზიციებიდან. ყველა სახის იარაღის ცეცხლით ჰიტლერელთა კონტრიერიშები მოგერიებულ იქნა. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 200-ზე მეტი გვამი და 2 დამწვარი ტანკი.

* * *

ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ. გააფთრებული ბრძოლის შედეგად გვარდიის 6 შენაერთის ნაწილებმა დაიკავეს დიდი დასახლებული პუნქტი. ამ დასახლებული პუნქტისათვის ბრძოლაში ჩვენმა მებრძოლებმა დახოცეს მტრის ასობით ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპეს 160 ავტომანქანა და 100-ზე მეტი მოტოციკლი. ჩვენებმა ხელთ იგდეს 32 ტანკი, 13 ქვემეხი, 11 ტყვიამფრქვევი, 6 ნაღმსატყორცანი, 4 ავტოსახელოსნო და 3 საწყობი საომარ მასალიანად.

* * *

სმოლენსკის ოლქში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა ორი დღის განმავლობაში ლიანდაგიდან გადააგდო გერმანელთა 4 ეშელონი ჯარებიანად, რომლებიც ფრონტის ხაზისაკენ მიდიოდნენ. მარცხის შედეგად დამტვრეულია ორი ორთქლმავალი, 30 ვაგონი და 11 პლატფორმა. ვაგონების ნამსხვრევებში ეაიღუპა 400-ზე მეტი ჰიტლერელი. სმოლენსკელი პარტიზანების სხვა რაზმი უეცრად დაესხა თავს გერმანელთა გარნიზონს. საბჭოთა პატრიოტები შეიჭრნენ დასახლებულ პუნქტში და გაქლიტეს 95 ჰიტლეროელი. პარტიზანებმა ხელთ იგდეს საწყობები სურსათიანად და ტანსამოსიანად, 34 ავტომანქანა და 30 ცხენი.

* * *

მიღებულია ცნობა იმ მხეცობის შესახებ, რომელიც გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა ჩაიდინეს პინსკის ოლქის სოფელ ზაოზერიეში. სოფლის მახლობლად იპოვნეს გერმანელი ოფიცრის გვამი. მეორე დღეს ზაოზერიეში ჩავიდა დამსჯელი რაზმი. ჰიტლერელებმა ყველა მცხოვრები მირეკეს მოედანზე და გაწყვეტეს. იქვე ფაშისტმა ჯალათებმა დახვრიტეს 7 მამაკაცი და 5 ქალი. დანარჩენი მცხოვრებნი—მოზრდილნი და ბავშვები—გერმანელებმა ფარდულში შერეკეს და იქ ჩაჰკეტეს. ბანდიტებმა გაძარცვეს ყველა სახლი და ცეცხლი წაუკიდეს სოფელს. როცა ალი ფარდულს მოედო, იქ დამწყვდეულებმა კარი გამოამტვრიეს და სცადეს გაქცევით ეშველნათ თავისათვის. გერმანელებმა მათ ავტომატების სროლა აუტეხეს. სოფლის ყველა მცხოვრებიდან მხოლოდ ორმა ქალიშვილმა მოახერხა ეშველნა თავისათვის, ფარულად გასულიყო პარტიზანებთან და მოეთხრო გერმანელი ფაშისტი ოკუპანტების ამ ბოროტმოქმედების ამბავი.

ჩრდილოეთ ოსეთის განთავისუფლებულ რაიონებში

გროზნი, 9 იანვარი (საკდესი). გროზნში დაბრუნდა მოხუცთა დელეგაცია, რომელიც იყო ჩრდილოეთ ოსეთის იმ რაიონებში, რომლებიც განთავისუფლებულია გერმანელი დამპყრობლებისაგან. დელეგაციაში შედიოდა ჩაჩნეთ-ინგუშეთის აულების 35 წარმომადგენელი. დელეგატები იყვნენ დასახლებულ პუნქტებში—გიზელში, დიგორაში, არდონში, ჩიკოლასა და სხვა პუნქტებში, რომელნიც განთავისუფლებული არიან ჰიტლერელი ყაჩაღებისაგან. დელეგატებმა ნახეს ჰიტლერელ მძარცველთა არმიის მიერ ჩადენილ საშინელ ნგრევათა და ბოროტმოქმედებათა კვალი.

ფაშისტმა ბანდიტებმა გაანადგურეს ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის ალაგირის, არდონის და დიგორის რაიონების აყვავებული კოლმეურნეობანი, დაანგრიეს და დასწვეს კლუბები, კინოთეატრები, ჭოხ-სამკითხველოები, სკოლები, საავადმყოფოები. ადგილობრივი მცხოვრებნი მოგვითხრობენ გერმანელ ჯალათთა საშინელ მხეცობაზე. სოფელ ტოლუზენში დელეგატები დაესწრნენ შვიდი საბჭოთა მოქალაქის დაკრძალვას, რომლებიც მხეცურად იქნენ წამებულნი ერთი საათით იმაზე ადრე, სანამ აქ წითელი არმიის ნაწილები მოვიდოდნენ.

ყოველივე, რაც დელეგაციამ ნახა გერმანელ დამპყრობლებისაგან განთავისუფლებულ რაიონებში, მან გადასცა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა და მათ თანამონაწილეთა ბოროტმოქმედების დამდგინებელი და გამომკვლევი საგანგებო სახელმწიფო კომისიისადმი მიმართულ წერილში.

— ჩვენ მოვითხოვთ,—ნათქვამია წერილში,—ჰიტლერისა და მისი პირსისხლიანი ხროვის უსასტიკეს გასამართლებას. მხოლოდ სისხლით შეუძლიათ აგონ მათ პასუხი ჩვენი უდანაშაულო ადამიანების სისხლისათვის, მხოლოდ სიკვდილით უნდა აგონ მათ პასუხი საბჭოთა მოქალაქეების სიკვდილისათვის.

ᲠᲣᲖᲕᲔᲚᲢᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 8 იანვარი (საკდესი). პრეზიდენტი რუზველტი 7 იანვარს ამერიკის კონგრესის გაერთიანებულ სესიაზე გამოვიდა შემდეგი მიმართვით:

„კონგრესის 78-ე სესია შეიკრიბა ჩვენი ქვეყნის ისტორიის ერთ-ერთ უდიდეს მომენტში. გასული წელი, შეიძლება ითქვას, ყველაზე უფრო მძიმე წელი იყო თანამედროვე ცივილიზაციისათვის. მომავალი წელი აღსავსე იქნება სასტიკი ბრძოლებით, მაგრამ მაინც იგი ხელსაყრელ ამბებს აღგვითქვამს.

1942 წლის მთელ სტრატეგიულ ვითარებაში ყველაზე უდიდესი და ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები იყო ის მოვლენები, რომლებიც რუსეთის ფართო ფრონტებზე მოხდა: ეს იყო, ჯერ-ერთი, სტალინგრადის ურყევი თავდაცვა, ხოლო მეორე, რუსთა არმიების შეტევა სხვადასხვა უბანზე, რაც ნოემბრის მეორე ნახევარში დაიწყო და კვლავ გრძელდება დიდი ძალითა და ეფექტიანობით.

გასული წლის სხვა დიდი მოვლენები იყო: იაპონელთა მთელი რიგი შემოტევა ფილიპინებზე, ჰოლანდიის ინდოეთში, მალაიასა და ბირმაში, იაპონელთა შემოტევის შეჩერება წყნარი ოკეანის ცენტრალურ და სამხრეთ ნაწილში და ინდოეთის ოკეანეში, ახლო აღმოსავლეთის წარმატებითი დაცვა იმ შეტევის შედეგად, რომელიც ეგვიპტიდან და ლიბიიდან დაიწყო, ამერიკელებისა და ინგლისელების შეიარაღებულ ძალთა მიერ ჩრდილოეთ აფრიკის დაკავება. შემდეგ ამისა 1942 წელს თავისი მნიშვნელობით უნდა აღინიშნოს განუწყვეტელი გააფთრებული ბრძოლები გემთა ქარავნების მოძრაობის გზებზე, ავიაციის სფეროში ღერძის სახელმწიფოებიდან უპირატესობის თანდათან გადასვლა გაერთიანებულ ერების ხელში. ღერძის სახელმწიფოებმა იცოდნენ, რომ მათ ან უნდა მოეგოთ ომი 1942 წელს, ან, საბოლოო ანგარიშით, ყველაფერი დაეკარგათ. მე არ ვბერძნდება იმაზე ლაპარაკი, რომ ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა ვერ მოიგეს ახლანდელი ომი 1942 წელს".

გაუკეთა რა ანალიზი წყნარ ოკეანეში ომის მსვლელობას, რუზველტმა განაცხადა: „ჩვენ ვიცით, რომ იაპონიის სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და ავიაციის ძლიერება სულ უფრო ეცემა, მაშინ როცა ამერიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და ავიაციის ძლიერება სულ უფრო იზრდება. ბრძოლის საბოლოო შედეგი შეიძლება მათემატიკურად იქნას დასაბუთებული, ეს ცხადი გახდება თვით იაპონიის ხალხისთვისაც, როდესაც ჩვენ დავარტყამთ თვით იაპონიას და დავიწყებთ მუდმივად მის დაბომბვას ჰაერიდან. იაპონიაზე იერიშის მიტანაში ჩვენ შემოგვიერთდება ჩინეთის გმირი ხალხი, რომლის მშვიდობიანი იდეალებიც ესოდენ ახლოსაა ჩვენს იდეალებთან. ამ ომის შედეგად ჩინეთი უზრუნველჰყოს თავის უშიშროებას, აყვავებას და ღირსებას, რომლების მოსპობისკენაც იაპონია ასე სასტიკად მისწრაფვოდა. გამოფიტვის ვარაუდზე დამყარებული ჩვენი თავდაცვითი პერიოდი წყნარ ოკეანეში თავდება, და ამჟამად ჩვენს მიზანს წარმოადგენს ვაიძულოთ იაპონელები იბრძოლონ. გასულ წელს ჩვენ ისინი შევაჩერეთ, ხოლო წელს განზრახული გვაქვს შეეტეოთ.

ომის ევროპის ასპარეზზე გასული წლის განმავლობაში ცხადი იყო, რომ ჩვენს უპირველეს ამოცანას შეადგენდა შეგვესუსტებინა რუსეთის ფრონტზე მიტანილი კონცენტრირებული შეტევა, რათა გვეიძულებინა გერმანია თავის ადამიანთა ძალების და საჭურველის ნაწილი ომის სხვა ასპარეზზე გადაეტანა. მრავალი თვის გეგმვისა და უაღრესად დეტალური მზადების შემდეგ ა. შ. შტატებიდან და შეერთებული სამეფოდან საფრანგეთის ჩრდილოეთ აფრიკაში ასობით ხომალდებით გაგზავნილ იქნა უდიდესი კომბინირებული ექსპედიცია. მან მიაღწია თავის მიზანს, ძალიან ცოტა ზარალი მოუვიდა და უკვე მოახდინა მნიშვნელოვანი გავლენა მთელ საომარ ვითარებაზე".

„ამერიკის შეერთებული შტატები ღირსეულად აფასებენ რუსეთის, ჩინეთის, ინგლისის მებრძოლებს და ერების ბრიტანული თანამეგობრობის სხვადასხვა წევრებს, მილიონობით ადამიანებს, რომელნიც ახლანდელი ომის მთელი რიგი წლების მანძილზე იბრძოდნენ ჩვენი საერთო მტრების წინააღმდეგ და საშუალება არ მისცეს მათ მიეღწიათ მსოფლიოს დაპყრობისათვის, რასაც ისინი ესწრაფოდნენ. ჩვენ ღირსეულად ვაფასებთ სხვა გაერთიანებული ერების ჯარისკაცებს, მფრინავებსა და მეზღვაურებს, რომელთა ქვეყნებიც ღერძის სახელმწიფოთა ურდოების მიერ დაპყრობილი აღმოჩნდნენ. მოკავშირეების მიერ ჩრდილოეთ აფრიკის ოკუპაციის შედეგად ფრანგთა არმიისა და ფლოტის მძლავრი შენაერთები იწყებენ მოქმედებას გაერთიანებული ერების შეიარაღებულ ძალებთან ერთად. ჩვენ მათ მივესალმებით, როგორც მოკავშირეებსა და მეგობრებს. ისინი უერთდებიან იმ ფრანგებს, რომლებიც 1940 წლის ივნისის შავბნელ დღეებიდან მამაცურად იბრძოდნენ თავიანთი დამარცხებული ქვეყნის გასათავისუფლებლად.

ჩვენ ღირსეულად ვაფასებთ ჩვენი მოკავშირეების მებრძოლ ხელმძღვანელებს უინსტონ ჩერჩილს, ოსსებ სტალინს და გენერალისიმუს ჩან კაი-შის. გაერთიანებული ერების ხელმძღვანელთა შორის უაღრესად რეალური ერთიანობა არსებობს. ეს ერთიანობა გამოიხატება როგორც ახლანდელი ომის ფართო სტრატეგიის დაგეგმვით, ისე მისი განხორციელებით, აგრეთვე მომარაგების ხაზის შექმნითა და დაცვით.

მე წინასწარმეტყველება არ შემიძლია. მე არ შემიძლია გითხრათ, როდის და სად მოახდენენ გაერთიანებული ერები მეორე დარტყმას ევროპაში, მაგრამ ჩვენ ვაპირებთ დარტყმას და მაგრადაც დარტყმას. დამოუკიდებლად იმისა, თუ სად და როდის დავარტყამთ ხმელეთზე, ჩვენ, ინგლისელები და რუსები, მომავალშიც ვურტყამთ ჰაერიდან, ფურტყამთ გაბედულად და დაუღალავად".

გადავიდა რა საწარმოო ფრონტის შედეგებსა და მიღწევებზე, რუზველტმა განაცხადა:

„ჩვენი პროგრამა 1942 წელს თვითმფრინავებისა და ტანკების წარმოებისა რიცხვობრივად სავსებით შესრულებული ვერ აღმოჩნდა იმ ამოცანასთან შედარებით, რაც ერთი წლის წინათ დავისახეთ. მიუხედავად ამისა, ჩვენ საკმაო საფუძველი გვაქვს ვიამაყოთ 1942 წელს ჩვენ მიერ მიღწეული წარმატებებით. ჩვენ გამოვუშვით დაახლოებით 48 ათასი სამხედრო თვითმფრინავი, რაც აღემატება გერმანიის, იტალიისა და იაპონიის საავიაციო წარმოებას ერთად აღებულს. გასული წლის დეკემბერში ჩვენ გამოვუშვით 5.500 სამხედრო თვითმფრინავი, და წარმოების ტემპები კვლავ სწრაფად იზრდება".

შემდეგ რუზველტს მოჰყავს მაგალითები, რომლებიც ახასიათებენ ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღების ზრდას. რუზველტმა განაცხადა: „უდავო ფაქტია ის, რომ სულ რამდენიმე წლის მომზადების შემდეგ და უკვე ომის დაწყების ერთი წლის შემდეგ ჩვენ ძალგვიძს სულიერად, ისევე როგორც ფიზიკურად, ტოტალური საშუალებებით ვაწარმოოთ ტოტალური ომი. ამასთან ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი მიღწევები წარმოებაში შედარებით იმაზე მეტი არ იყო, ვიდრე მიღწევები რუსეთისა, ინგლისელებისა და ჩინელებისა, რომლებმაც თავიანთი სამხედრო მრეწველობა ომით გამოწვეულ არაჩვეულებრივ სიძნელეთა პირობებში განავითარეს. მათ მუშაობა დაბომბვისა და შენიღბვის პირობებში უნდა განეგრძოთ, და მათ არასოდეს არ შეუწყვეტიათ იგი.

ჩვენ, ამერიკელები, კარგ, ვაუკაცურ კომფანიაში ვიმყოფებით ამ ომში და ჩვენ საპატიო როლს ვასრულებთ უდიდეს საერთო ლონისძიებებში".

„ჩვენ და ყველა გაერთიანებულ ქვეყანას,—განაგრძო რუზველტმა, — სამართლიანი და ხანგრძლივი მშვიდობიანობა გვსურს. პირველ მსოფლიო ომსა და მეორე მსოფლიო ომის დასაწყისს შორის განვლილ წლებში ჩვენ სამართლიანი და ხანგრძლივი მშვიდობიანობის პირობებში არ ცხოვრობდით. ჩვენი შეიარაღებული ძალების ჯარისკაცებს ხანგრძლივი მშვიდობიანობა სურთ, და მათ ომის დამთავრების შემდეგ სურთ აგრეთვე მუდმივი სამუშაო თავისთვის, თავისი ოჯახებისა და თავისი მეზობლებისათვის.

ორი წლის წინათ ჩემს ყოველწლიურ მიმართვაში მე ოთხი თავისუფლების შესახებ ვლაპარაკობდი. ორი ამ თავისუფლებათაგანი — სიტყვის თავისუფლება და რელიგიის თავისუფლება ჩვენი ქვეყნის თვით ცხოვრების არსებითს ნაწილს შეადგენს, და მე იმედი მაქვს, რომ ეს სიკეთენი გარანტირებული იქნება ყველა ადამიანთათვის მთელ მსოფლიოში. როგორც სამშობლოში, ისე ფრონტზე მყოფი ადამიანები, მამაკაცები და ქალები დაინტერესებულნი არიან მესამე თავისუფლებით—გაჭირვებისაგან თავისუფლებით. მათთვის ეს თავისუფლება იმას ნიშნავს, რომ, როცა ისინი დემობილიზებული იქნებიან და როცა სამხედრო წარმოება მშვიდობიან რელსებზე იქნება გადაყვანილი, ისინი მოინდომებენ მიიღონ უფლება—ჭკნდეთ სამუშაოს იმედი თავისთვის და ამერიკის ყველა შრომისუნარიანი მამაკაცისა და ქალისათვის, რომელთაც კი მუშაობა სურთ. მე ამას ვეუბნები ამ კონგრესს, ვინაიდან ძალიან შესაძლებელია, რომ გაჭირვებისაგან თავისუფლების საკითხი—სამუშაოს უფლებისა და ცხოვრების გაუთვალისწინებელ შემთხვევითობათა წინააღმდეგ გარანტიის უფლების საკითხი—მთელი სიგრძე-სიგანით დადგება ჩვენს წინაშე, როგორც ამოცანა, რომელიც ამერიკამ უნდა გადასწყვიტოს მომავალი ორი წლის განმავლობაში". „ჩვენ უნდა გვახსოვდეს,—განაგრძო რუზველტმა,—რომ მომავალი ამერიკის ეკონომიური უშიშროებას საფრთხე შეექმნება, თუ დიდი ეკონომიური სიმყარე არ გავრცელდა დანარჩენ მსოფლიოზე. ჩვენ არ შეგვიძლია გადავაქციოთ ამერიკა კუნძულად არც სამხედრო და არც ეკონომიური მხრივ. ჰიტლერიზმი, ისევე როგორც დანაშაულის ან უბედურების ყოველგვარი სხვა ფორმა, შეიძლება წარმოიშვას როგორც ეკონომიური, ისე სამხედრო ფეოდალიზმის ბოროტების თესლისაგან. ახლანდელი ომიც, მოგება პირველი და უდიდესი მიზანია, რომელიც ჩვენს წინაშე დგას. შემდეგი მიზანია მშვიდობიანობის მოგება. ეს ნიშნავს ბრძოლას ადამიანის უშიშროების გაფართოებისათვის ჩვენში და მთელ მსოფლიოში—და საბოლოო ანგარიშით, ბრძოლას მეოთხე თავისუფლებისათვის — შიშისაგან თავისუფლებისათვის. მე ერუანტელსა მგვრის ის ფიქრი, თუ რა მოუვა კაცობრიობას, და მათ შორის ჩვენც, ეს ომი რომ ნახევრული ზავით დამთავრდეს და ახალმა ომმა იფეთქოს, როცა ახლანდელი ბავშვები გასაწვევ ასაკს მიაღწევენ. უეჭველია, მხოლოდ თითოეროლა ამერიკელი ფიქრობს, რომ ჩვენს ქვეყანას შეუძლია ხელსაყრელად დამთავროს ეს ომი, შემდეგ კი ისევ ჩაძვრეს თავის ამერიკულ ხვრელში და მიიკეტოს იგი. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ვერასოდეს ვერ ამოვთხრით ისეთ ღრმა ხვრელს, რომ იგი უშიშარი იყოს მტაცებელი ცხოველებისაგან. ჩვენ გავიგეთ აგრეთვე, რომ, თუ ჩვენ მტაცებელ ცხოველებს შხამინი კბილები არ დავაჭრეთ, ისინი გამრავლდებიან, განამტკიცებენ თავიანთ ძალებს—და კვლავ გვშვდებიან ყელში უახლოესი თაობის არსებობის განმავლობაში".

„ამჟამად,—სთქვა რუზველტმა,—გაერთიანებული ქვეყნები ყველაზე მძლავრ სამხედრო კოალიციას წარმოადგენენ ისტორიაში. ისინი მთელი მსოფლიოს მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას შეადგენენ. გაერთიანებულთ საზეიმო შეთანხმებით ომის შესახებ, რომ ისინი თვითონ არ ჩაიდენენ აგრესიისა და დაპყრობათა აქტებს რომელიმე თავიანთი მეზობლის წინააღმდეგ, გაერთიანებულ ქვეყნებს შეუძლიათ დარჩნენ გაერთიანებულნი, რათა დაიცვან მშვიდობიანობა იმ გზით, რომ თავიდან აიცილონ კვლავ შეიარაღების ყოველგვარი ცდა გერმანიის, იაპონიის, იტალიის ან რომელიმე სხვა ქვეყნის მხრივ, რომელიც კი შეეცდება დაარღვიოს მეათე მცნება".

დასასრულ რუზველტმა სთქვა: „მე არ შემიძლია ვიწინასწარმეტყველო, თუ როდის გათავდება ეს ომი. მაგრამ ვფიქრობ, რომ გაერთიანებული ქვეყნები 1943 წელს არსებითად წაიწევენ წინ ბერლინისა, რომისა და ტოკიოსაკენ მიმავალ გზებზე. ამიტომ განვიმტკიცოთ რწმენით და გავაორკეცოთ ჩვენი ღონისძიებანი. ჩვენ წინ გვიძევს თავისი მნიშვნელობითა და ხანგრძლივობით უდიდესი ამოცანა როგორც მშვიდობიანობის პერიოდში, ისე ომის პერიოდში. მაგრამ ამ ხანგრძლივი ამოცანის წინაშე ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი ქვეყანა კარგ მდგომარეობაშია, ერის გული საღია, მისი სული ძლიერია, ხოლო მისი რწმენა უხრწნელია".

სომარი მოქმედება ᲤᲣᲜᲘᲡᲨᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 9 იანვარი (საკდესი). მოკავშირეთა ჩრდილოეთ აფრიკის ჯარების შტაბის კომუნიკეში ნათქვამია, რომ 7 იანვარს ტუნისის ფრონტის ჩრდილოეთ უბანზე სწარმოებდა პატრულების ძიება. მოკავშირეთა საჰაერო თავდაცვამ ჩამოაგდო მტრის 4 თვითმფრინავი.

ფრონტის სამხრეთ უბანზე მოკავშირეთა თვითმფრინავებმა დაბომბეს აეროდრომი და ყაზარმები ჰაბესში. 6 იანვარს ღამით მოკავშირეთა ბომბდამშენები თავს დაესხნენ ტუნისის დოკებს.

მოკავშირეთა ჩრდილოეთ აფრიკის ჯარების სარდლობა იუწყება, რომ ღერძის სახელმწიფოთა იმ თვითმფრინავების რიცხვი, რომლებიც ჩამოგდებულია ტუნისის კამპანიის ორი პირველი თვის განმავლობაში, 344 აღწევს. მოკავშირეებმა 147 თვითმფრინავი დაჰკარგეს.

ᲤᲠᲐᲜᲒᲗᲐ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲐᲤᲠᲘᲙᲐᲨᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 9 იანვარი